საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5530
22/09/2022

5530-21-2-202209221728

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19; 0186,
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 25 აგვისტოს წარმოდგენილი განცხადება (N 4329), რომელიც ეხება ახალციხის მუნიციპალიტეტში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს წარმომადგენლის მიერ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები შესრულებულია, კერძოდ უკვე განთავსებულია 12 საყრდენი ანძა და გაყვანილია ელექტროგადამცემი ხაზი. შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება ადგილზე არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას.

სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები.

დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია არ არის სათანადოდ წარმოდგენილი და საჭიროებს დაზუსტებას. მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ასევე მიმდებარედ განთავსებული ეგხ-ების გათვალისწინებით სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული და **დაზუსტებას საჭიროებს ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი, მათ შორის კუმულაციური, ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია;** ბიომრავალფეროვნების აღწერის ქვეთავში (გვ. 22) მითითებულია რომ - ,,საპროექტო ეგხ "წნისი" მდებარეობს ახალციხის ქვაბულის გეობოტანიკურ ოლქში”. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან ეგხ "წნისი" არსებულ ობიექტს წარმოადგენს, ხოლო დაგეგმილი/საპროექტო საქმიანობა ეხება ახალი 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას. წარმოდგენილი უნდა იყოს უშუალოდ საპროექტო მონაკვეთის/დერეფნის და საყრდენების ტერიტორიების,

ასევე აღნიშნულ **ტერიტორიებზე არსებული გარემო პირობებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია.**

მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, წერილში მითითებული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენამდე სააგენტო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას პროექტთან დაკავშირებით. ამასთან გთხოვთ, განახლებული სკოპინგის ანგარიშში უზრუნველყოთ წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა, შესაბამისი გვერდების მითითებით.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო